სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები საველე-გეოლოგიურ პრაქტიკაზე იმყოფებიან

სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენ-ტის სტუდენტები დაბა კაზრეთში საველე-გეოლოგიურ პრაქტიკაზე იმყოფებიან. სტუდენტები ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის საველე ბაზაზე დაბანაკდნენ და ორი კვირის განმავლობაში საველე-პირობებში გაეცნობიან ბოლნისის რაიონის გეოლოგიურ აგებულებას, მოინახულებენ რაიონში არსებულ ცნობილ საბადოებს და მადანგამოვლინებებს, აიღებენ ქანებისა და მინერალების საინტერესო ნიმუშებს. დაათვალიერებენ შპს „კვარციტის“ ოქროს საბადოსა და სს „მადნეულის“ სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალურ საბადოს. კარიერზე უშუალოდ გაეცნო-ბიან იმ პროცესებს, რომელიც გამოიყენება მეორადი კვარციტებიდან ოქროს მისაღებად. საველე-გეოლოგიური მარშრუტების გარდა, სტუდენტები დაათვალიერებენ ქვემო ქართლის რეგიონის ღირშესანიშნაობებს. თბილისში დაბრუნების შემდეგ. კი შეადგენენ პრაქტიკის შემაჯამებელ ანგარიშს.